**გურჯაანის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ო ქ მ ი №7**

29 ივნისი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი.

ესწრებოდნენ: ალ. სირბილაშვილი, ხ. ჭონიაშვილი, დ. ბეჟაშვილი, გ. ენუქიძე, ვ. ელიზბარაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ალ. შანყულაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ი. ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, ზ. მახარობლიშვილი, მ. ძამუკაშვილი, პ. ჯოხაძე, ნ. ბახლიშვილი, ი. ჩიტაშვილი, დ. ლიპარტაშვილი, მ. მუღალაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ბ. ზირაქაშვილი, ზ. ბადრიაშვილი, ალ. ზირაქაშვილი, ვ. მამისაშვილი, მ. ჩიბარაშვილი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

**<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>**

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ.

2. სხვადასხვა.

ზ. იაგანაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილს დაემატება კიდევ 2 საკითხი. კერძოდ: 1) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ და 2) ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგად
**დაადგინეს:**
სხდომამ იმუშაოს წარმოდგენილი დღის წესრიგით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. /მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0/
საკრებულოს წევრმა, ნინო მურაკაშვილმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს. მას დაეთანხმა შმაგი გაბახაძეც.

**მოისმინეს:**
1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ.

ზ. იაგანაშვილმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ ასარჩევია საკრებულოში არსებული 5 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები. აქვე მან მოუწოდა კოლეგებს, დაესახელებინათ სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

– გ. ენუქიძემ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა ზურაბ მინდორაშვილის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს დასახელებულ კანდიდატურას.
**დაადგინეს:**
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ზურაბ მინდორაშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

ზ. მინდორაშვილს დაევალა, იმუშაოს საკრებულოს დებულების კანონთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

ზ. იაგანაშვილმა თავად დაასახელა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, კოტე ნაპირელის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ მასვე ეკავა ეს თანამდებობა წინა მოწვევის საკრებულოშიც. აქვე დასძინა, რომ კ. ნაპირელი გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობითა და შრომისმოყვარეობით.

კენჭისყრის შედეგად
**დაადგინეს:**
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას კოტე ნაპირელი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

ზ. იაგანაშვილმა მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ დაესახელებინათ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.
– ალ. სირბილაშვილმა, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასხელა გიორგი ენუქიძის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს.
**დაადგინეს:**
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გიორგი ენუქიძე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი –

ზ. იაგანაშვილმა კოლეგებს სთხოვა, დაესახელებინათ ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.
– ვ. ელიზბარაშვილმა აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად დაასახელა ივანე ნატროშვილის კანდიდატურა.

**აზრი გამოთქვეს:**
– ალ. სირბილაშვილი დაეთანხმა ვ. ელიზბარაშვილის წინადადებას და აღნიშნა, რომ ი. ნატროშვილს, ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს მიღებული, რადგან წინა წლებში მუშაობდა გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

კენჭი უყარეს კანდიდატურას.
**დაადგინეს:**
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ივანე ნატროშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

ზ. იაგანაშვილმა, კოლეგებს სთხოვა საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება.

აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად, ზ. ბადრიაშვილმა დაასახელა ვაჟა მამისაშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგად

**დაადგინეს:**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ვაჟა მამისაშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

კომისიის თავმჯდომარეთა არჩევის შემდეგ, ზ. მინდორაშვილმა სხდომის წევრებს წარმოუდინა საკრებულოში შექმნილი 3 ფრაქცია, მათი თავმჯდომარეები და აქვე, შემადგენლობები. კერძოდ: 1) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის შემადგენლობაშიცაა საკრებულოს 15 წევრი. ესენია:

1. **ვანო ელიზბარაშვილი – ფრაქციის თავმჯდომარე**
2. პაატა ჯოხაძე – თავმჯდომარის მოადგილე
3. ლალი გაბიტაშვილი
4. ხათუნა ჭონიაშვილი
5. გურამ ბერიკაშვილი
6. ზაქარია დოიაშვილი
7. გიორგი ენუქიძე
8. ავთანდილ ზარდიაშვილი
9. ალექსი შანყულაშვილი
10. ივანე ნატროშვილი
11. კოტე ნაპირელი
12. ერისტო ბოკუჩავა
13. მიხეილ მუღალაშვილი
14. ალექსანდრე ინანაშვილი
15. ალექსანდრე ზირაქაშვილი.

2) ფრაქცია „მაჟორიტარები“, რომლის შემადგენლობაშიც არის 8 წევრი.

1. **ალექსანდრე ზირაქაშვილი – თავმჯდომარე**
2. ზურაბ ბადრიაშვილი – თავმჯდომარის მოადგილე
3. ზაქარია იაგანაშვილი
4. ალექსანდრე სირბილაშვილი
5. ზურაბ მახარობლიშვილი
6. იოსებ ჩიტაშვილი
7. ნოდარ ღლიღვაშვილი
8. ვაჟა მამისაშვილი.

3) ფრაქცია „გურჯაანის მომავლისათვის“, რომლის შემადგენლობაში საკრებულოს 5 წევრია.

1. **დავით ბეჟაშვილი – თავმჯდომარე**
2. დათო ლიპარტაშვილი – თავმჯდომარის მოადგილე
3. ზურაბ მინდორაშვილი
4. მალხაზ ძამუკაშვილი
5. პაატა გველუკაშვილი.

**მოისმინეს:**

2. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ.

დ. გოგებაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო პროექტი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“.

**აზრი გამოთქვეს:**

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კომისია, თავდაპირველად შეიქმნა წინა მოწვევის საკრებულოში. ბოლო პერიოდში, ამ კომისიას თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ინანაშვილი და მის მიერ გაწეულ მუშაობას აფასებს დადებითად. ამიტომ, მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნულ კომისიას კვლავ უხელმძღვანელოს ალ. ინანაშვილმა.

ზ. იაგანაშვილს დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

კენჭისყრის შედეგად

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს პროექტი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ და მისი პერსონალური შემადგენლობა წარმოდგენილი სახით. (თან ერთვის) /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

**მოისმინეს:**

3. ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ.

დ. გოგებაშვილმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია საჩივარი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, ს. ვაჩნაძეანში მცხოვრებ ქეთევან ომანიძეზე გაცემული საკუთრების აღიარების №398 მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ და წარმოადგინა პროექტი „ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილისა და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ“.

**აზრი გამოთქვეს:**

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ უნდა იქნას წარმოებაში, რის შემდეგაც კომისია აუცილებლად საფუძვლიანად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს, რის შემდეგად მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

კენჭი უყარეს.

**დაადგინეს:**

მიღებულ იქნას წარმოებაში ს. ვაჩნაძეანში მცხოვრები თამარ ჭურღულაშვილის და მარიამ მარჩილაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგანაშვილი**